


# საგზიელო



საორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 მაისი 2006 №117 (2739)

ფასი 50 თეთრი

## ახალი საქართველო — ახალი ზეღანდია გერმანელმა ქართული საქმა გერმანიაში დაიწყო



გუშინ საქართველოს ნაკრები ალტენეიხენის ამ მოედანზე რომ ვარჯიშობდა, ზეგინდელმა მეტოქემ ახალმა ზეღანდიამ ამხანაგურ მატჩში უნგრეთთან 0:2 წააგო

## ჩერნიშოვი, დინამო და ПОКА!

თბილისის „დინამოს“ და ანდრეი ჩერნიშოვის გზები გაიყარა! ამ ამბავზე ქართულ საფეხბურთო სამყაროში ლაპარაკი რამდენიმე დღის წინ დაიწყო, თუმცა ყველაფერი საბოლოოდ გუშინ სალამოს გაირკვა და ეს ინფორმაცია კლუბის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ დააკვირდა, რომელმაც სხვა საინტერესოც გვითხრა...

— დიას, ანდრეი ჩერნიშოვი „დინამოს“ მწვრთნელი აღარ არის. დღეს „დინამოს“ მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძისა და ანდრეი ჩერნიშოვის სატელეფონო საუბრისას ორივე მხარემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე სჯობს აღარ გავრძელებს თანამშრომლობა. „დინამოს“ ხელმძღვანელობის აზრით, ჩერნიშოვი ნიჭიერი და პერსპექტიული მწვრთნელია, მაგრამ მას ქართულ ფეხბურთთან ადაპტაცია გაუჭირდა და ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მიღებული. ჩერნიშოვი „დინამოს“ ქომაგად რჩება და ჩვენს კლუბთან საქმიან ურთიერთობას გააგრძელებს.

— გამოდის, ზვალინდელი შეკრების წინ „დინამო“ უმწვრთნელიდ დარჩა...

— „დინამოს“ ხელმძღვანელობა მაღალკვალიფიციური მწვრთნელის მოწვევაზე ზრუნავს, ამჟამად კი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას კახა კაჭარავა შეასრულებს.

— ლაპარაკია, რომ „დინამომ“ ერთხელ 12 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა...

— ეს ციფრი გაზვიადებულია. შემიძლია გითხრა, რომ „დინამოს“ შეკრების შემდეგ ფეხბურთელთა მიმართ მოთხოვნები გამკაცრდება და არ არის გამორიცხული, რამდენიმე მართლაც ტრანსფერზე დადგეს.

— სხვა სიახლე რა არის?

— ზვალიდან „დინამოსთან“ ერთად იქნება 23 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი როდრიგო ტერნინი. კლუბი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებს.

ახალი სეზონისთვის მზადებას თბილისის „დინამო“ დიდხანს ბაზაზე დღეს იწყებს და სხვა ამბებიც ზვალ-ზევისთვის იყოს. ვნახოთ, ჩანს, „დინამოში“ ახალი ცხოვრება იწყება.

პოპა ინასარიძე



## ტოს ქალაქში აბჯავია ჩინატოს და შორქის

შანხაიში, პლაჟის ფრენბურთელთა, მსოფლიო ტურის პირველ დღეს მიჯრით სამი მატჩის მოგებას გუშინ საქართველოს ბრაზილიელებმა გეორ და ვიამ წაგება-მოგება მიაცილეს და მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებენ. პლაჟის ამბავში ისეა, რომ თუ ძირითად ბადეში მოხვდები, ერთ წაგებას ვაპტიობენ. რენატო და ჟორჟი კი პირველივე დღეს მოხვდნენ 32 უძლიერეს წყვილში.

სანამ ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები შანხაიში კაიბიჭობენ, თბილისში ქართველი გოგოები იხურებენ კუნთებს. ზვალიდან მათ ევროპის გრანდებთან მოუწევთ თამაში. 26-28 მაისს სპორტის სასახლეში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე გაიმართება. საფრანგეთი, გერმანია, ლატვია — აი, ეს ევროგრანდები იქნებიან ქართველი გოგოების მეტოქეები და კიდევ: თბილისში ისეთი ვარსკვლავები ითამაშებენ, გერმანელი ანგელინა გრიუნი და ლატვიელი ოლგა ტოკო რომ არიან.

## ჯანლუიჯი ბუფონი პროკურატურაში პენალტებს იბერიებს

კოვერჩანოში მოხტუნავე ჯანლუიჯი ბუფონს გუშინ ვარჯიში შეაწყვეტინეს და პროკურატურაში დაიბარეს. იტალიის ნაკრების მეკარეს ორი საათი „ნურავდნენ“ ვამომძიებლები. მათ აინტერესებდათ, დედა თუ არა იუვენტუსელი ფსონებს თავისი გუნდის მატჩებზე. პროკურატურიდან გამოსულმა ბუფონის ადვოკატმა ვალერიო კორინიომ თქვა, მშვიდად ვართ, რადგან ჩემს კლიენტს კანონი არ დაურღვევიაო.

დასაკითხი კიდევ რამდენიმეა, მათ შორის მარკ იულიანო, ენცო მარესკა და ანტონიო კიმენტი.



გადამრკვეტილია ვოტო

# ტოპიოლერს ნაკლული გუნდი კაპის

## ჯაკობია, ცქიტვილი და გახოკიძე გერმანიაში ვერ ჩავიდნენ

**გუშინ** გერმანულ ალტენკირხენში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეკრება დაეწყო. კლავს ტოპიოლერის განკარგულებაში ეს ფეხბურთელები იყვნენ:

**მცხარეები:** გიორგი ლომია (ლუზი, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი);

**მცველები:** კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ზიზანიშვილი (ბლეიხერნი, ინგლისი), კახა მჭავანაძე (ჩერნომორეცი, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ოთარ ზიზანიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან მალრაძე (ქსანთი, საბერძნეთი), კახა ალადაშვილი (დინამო, უკრაინა), მათე ლეონიანი (ლოკომოტივი, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), დავით კვიციანი (მეტალურგი, უკრაინა), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი);

**თავდასხმელები:** შოთა არველაძე (ალკმარი, პოლანდია), გიორგი დემეტრაძე (მაკაბი, ისრაელი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ოთარ მარცვალიძე (დინამო, უკრაინა), ვასილ ვიციანიძე (კრივბასი, უკრაინა), ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი). საქართველოს ნაკრებმა გერმანიის დრო-

ით 17 საათზე ივარჯიშა — წვრთნამ დაახლოებით ორ საათს გასტანა.


ვარჯიშის ბოლოში წითელი ტოპიოლერმა გუნდი ორად გაყო და 11-11-ზე ათამაშა. ტოპიოლერმა გუნდებს ორი „ფეხბურთელი“ დაამატა — თანამემწე კობა ჟორჯიაშვილი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე.

ინდივიდუალურად ივარჯიშა ლაშა სალუქვაძემ — მას კუნთი აქვს დაჭიმული.

შეკრებაზე ვერ ჩავიდა ხარკოვის „მეტალისტის“ ტრავმირებული ფორვარდი ლაშა ჯაკობია. გუშინდელ ვარჯიშზე არ იყვნენ ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველი ილია კანდელაკი და სკონტოელი მარჯვენაფლანგელი ზურაბ მენთეაშვილი — მათ ალტენკირხენში გვიან ღამით ელოდნენ.

შეკრებაზე არ არიან ლევან ცქიტვილი და გოგა გახოკიძე. ცქიტვილი ამ ცოტა ხნის წინ ბაზელში საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და კვლავ საოპერაციოა — ცხვირით სუნთქვა უჭირს და ოპერაცია უნდა გაიკეთოს რაც შეეხება გახოკიძეს, მისმა „ტექნეტემ“ თხოვნით მიმართა ტოპიოლერს, გახოკიძეს სარეაბილიტაციო პერიოდი აქვს და ამ ჯერზე ნაკრებში ნუ უხმობთ.

**ღამით თავმჯდომარე**



### ახალკასი ვენაში სემინარიც და თამაზიც

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების დარად, გერმანიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც, თუმცა ის გუნდთან ერთად არ გახლავთ.

ახალკაცი 26 მაისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში იქნება, სადაც ფიფას სემინარი გაიმართება, რომელსაც ფიფას ოცდაათამდე წევრი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრება — 26 და 27 მაისს ეროვნული ასოციაციების პრეზიდენტები თუ გენმდივნები მარკეტინგულ საკითხებზე მოისმენენ სემინარს.

27 მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები გერმანულ ალტენკირხენში ახალ ზელანდიას გაეჯიბრება და ახალკაცმა გეითხრა, სემინარის მიუხედავად, ამ მატჩს უეჭველად დავესწრებით.

**ღამით თავმჯდომარე**

### ეროვნულს დიადორა ჩაუტანეს

**სკორტული** ეკიპირების მწარმოებელ იტალიურ „დიადორას“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის მოლაპარაკებას წერტილი მაისის ბოლოს დაესმება. პინც ტოპიოლერის 19-წლიან დელთა ნაკრებმა ორი დღის წინ სლოვაკეთში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სწორედ „დიადორას“ ფორმით ითამაშა. იტალიელთა ნაწარმმა სამწვრთნელო შტაბის და თავად ფეხბურთელების მოწონება დაიმსახურა, ახლა კი ჯერი ეროვნულ ნაკრებზეა. როგორც შევიტყვეთ, გერმანიაში უკვე ჩატანილია

„დიადორას“ სრული ეკიპირება ეროვნული ნაკრებისთვის, რომელიც ამ ფორმით ჯერ ახალი ზელანდიის, შემდეგ კი პარაკვის ნაკრებს გაეჯიბრება. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ოფიციალური შესარჩევი შეხვედრების დაწყებამდე დამზადებული ეკიპირება უფრო მაღალი ხარისხის იქნება, რადგან ამჯერად „დიადორას“ ცაიტნოტის პირობებში უხდებოდა მუშაობა და ჩვენს ფეხბურთელებს ფორმა დაახლოებით ორ კვირაში დაუმზადა.

**გიორგი ნოზაძე**

## პაპეში ჯეჯილოზა გადაიდო

**ოთხი** ქართული კლუბიდან, რომლებმაც ევროსაგზურები მოიპოვეს, ბრძოლაში პირველი თბილისის „დინამო“ ჩაებმება და სომხურ „კილიკიას“ უკვე 16 ივნისს დაუპირისპირდება. ივლისში თბილისის „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ უეფას თასის, ბოლნისის „სიონი“ კი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპებიდან დაიწყებენ ევროთავგადასავალს.


რომელ სტადიონებზე გამართავენ სამინაო მატჩებს ჩვენი კლუბები? წლიდან წლამდე არჩევანი ორ სტადიონს შორის კეთდებოდა, თუმცა ახლა ასარჩევად აღარაფერი დარჩა. ეროვნულ სტადიონზე გაგანია სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლებიც მხოლოდ აგვისტოში დასრულდება, „მიხეილ მესხზე“ კი...

მოგვხსენებთ, „მიხეილ მესხზე“ საკუთარი სახსრებით საფარის გამოცვლის სურვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოთქვა. სურვილი ერთია და რეალობა — მეორე. ვაკის სარბიელზე საფარის გამოცვლა თუნდაც დღესვე დაიწყოს, ივნისში გასამართ ინტერტო-

ტოს მატჩამდე მისი დასრულება ფიზიკურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, „მიხეილ მესხზე“ ახალი ბალახი, საუკეთესო შემთხვევაში, აგვისტოში თუ დაიგება. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გეითხრა, არ არის გამორიცხული, ისარგებლონ გერმანული სპეციალისტების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით და არსებული საფარი მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ — ბუნებრივია, ეს დროის და დანახარჯების მხრივ გაცილებით ნაკლებს მოითხოვს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩვენი გუნდების წინაშე დგას, უეფას წესია — ერთ სტადიონს არაუმეტეს ორი კლუბის საევროთასო შეხვედრების მასპინძლობის უფლება აქვს. ამ მხრივ ფედერაცია უფრო იმედინადაა: უეფა ალბათ გაითვალისწინებს შექმნილ ვითარებას და გამოწვევის სახით ორზე მეტ ქართულ კლუბს დართავს „მიხეილ მესხზე“ თამაშის ნებას. ორზე მეტი კი შეიძლება სულაც ოთხივეს ნიშნავდეს.

**გიორგი ნოზაძე**



<b>ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)</b>	<b>უფადეთი</b>
<b>B ჯგუფი. I ტური</b>	სუპერეტა
<b>უკრაინა 2:1 ჰოლანდია</b>	VII ტური
<b>იტალია 3:3 დანია</b>	ლიუნსაჰილე 2:2 ატვიდააბრი
<b>ამხანაგური მატჩები</b>	<b>ისლანდია</b>
<b>ურუგვაი 2:0 რუმინეთი</b>	პრემიერლიგივიონი
<b>უნგრეთი 2:0 ახალი ზელანდია</b>	III ტური
<b>ნორვეგია 2:2 პარაკვაი</b>	რეიკიავიკი I0 ფილიპინი
<b>გაბონი 3:3 თურქეთი</b>	ბრინდავიკი I1 კოფლავიკი
<b>ირლანდია 0:1 ჩილე</b>	<b>სლოვაკეთი</b>
<b>ტულონის საერთაშორისო ტურნირი</b>	თასის ფინალი
<b>20-წლამდელები</b>	აუზლიაში ზღაღვენჯან, 11 ათარი
<b>მატჩი III ადგილისთვის</b>	<b>გულგარეთი</b>
<b>პორტუგალია I0 ჩინეთი</b>	თასის ფინალი
<b>ფინალი</b>	ცსპა 3:1 ჩინეთი მორე
<b>საფრანგეთი 0:0(გენჯ) ჰოლანდია</b>	

# რატის ქაველონი სეზონი

## ისევ ვთავაზობ და გააქვს, მაგრამ მტერი მიწა



პაპიანი კაპიტანის ფოტო

### უჩინოვრო დინამოს სიტყვა ან ნაკლებს გადაბისდით, ან ტრანსფერზე დაბაყნებთ

თბილისის „დინამო“ მკვეთრი რეორგანიზაციისთვის ემზადება — გუშინ მთავარი მწვრთნელი ანდრე ჩერნიშოვი დაითხოვეს. კულუარული ცნობებით კი, კლუბის ხელმძღვანელობა რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენებას აპირებს და საქმის არსი ასეთია — „დინამო“ ფეხბურთელებს მოქმედი კონტრაქტების გაუქმებას და ახლის გაფორმებას სთავაზობს. თუ ფეხბურთელები ამას დათანხმდებიან, მათ ახალი ხელშეკრულებით მოქმედ კონტრაქტზე ნაკლები ანაზღაურება ექნებათ. ხოლო თუ ფეხბურთელები კლუბის ასეთ შეთავაზებას არ დათანხმდებიან, მათ ტრანსფერზე დააყენებენ.

ასეთი შეთავაზება ყველა ფეხბურთელს არ ეხება — ულტიმატუმი „დინამოს“ შედარებით ასაკოვან და გამოცდილ მოთამაშეებს წაუყენეს.

როგორც ჩანს, „დინამოში“ საბიუჯეტო კორექციის დრო დადგა და

რას მოუტანს ეს ყველაზე სახელმძღვანელო გუნდს, რომელიც წინა სეზონში უტუტულოდ დარჩა, მაღლე გამოჩნდება.

მსგავსი პროექტი „დინამო“ მამინაც განახორციელა, როცა კლუბის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი იყო, რომელმაც გუნდიდან მწვრთნელი ივო შუშაკი და რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვა და ხორვატი სპეციალისტის ნაცვლად ვია გევუჩაძეს უხმო. ასეთმა ხისტმა ექსპერიმენტმა მაშინ, ერთი ხანობა, გაამართლა, „დინამო“ უფვას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ გევუჩაძე მანამდე „დინამო 2“-ში მუშაობდა და საკმაოდ წარმატებულად.

საკადრო ცვლილება კი „დინამოში“ ასე დაიწყო — გუნდიდან გაუშვეს ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი, ვინც ახლა ეროვნულ ნაკრებს ახლავს გერმანიაში.

#### დავით თავართილაძე

თბილისის „ამერის“ ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილს გასული სეზონის უმეტეს პერიოდში თამაში არ მისდიოდა, გუნდის 18-კაციან განაცხადშიც კი იშვიათად ხვდებოდა, თუმცა ჩემპიონატის ბოლო ტურებში და თასის ფინალშიც გამორჩეულად ითამაშა, გოლებს ისევ გაეჩვია და ხელობა სლოვაკეთშიც გააგრძელა.

...საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა სლოვაკეთში გამართულ ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტრაუნდში სამიდან ერთი მატჩი მოიგო, ოთხი გოლი გაიტანა და აქედან ორი წინამძღვრიშვილისა იყო...



პაპიანი კაპიტანის ფოტო

— პირველი თამაში თურქეთთან საშინელება იყო. 0:1 მართლაც მეტისმეტია, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ანგარიში თამაშის სცენარს არ შეეფერებოდა. პირველ ტაიმშიც და მეორე ნახევრის საწყის 15 წუთშიც ჩვენ ვუტევედით, თუმცა თურქეთი რაღაც სასწაული ნაკრები იყო.

— 19-წლამდელთა ნაკრები ისე ჩავიდა სლოვაკეთში, რომ მანამდე ერთი ტესტ-მატჩიც არ გაუშართავს. შეუთამაშებლობა ძალიან გეტყობოდა?

— ამანაც იქონია გავლენა, მაგრამ ბავშვური გოლების გაშვებას მარტო შეუთამაშებლობას ვერ დავაბრალებ.

— სლოვაკეთთან შენი პენალტი მეკარემ მოიგერია, თუმცა დამატებაზე გაიტანე...

— მიუხედავად იმისა, რომ ორი პენალტი დაგვინიშნა, მაგ თამაშში მსაჯი ცოტა მასპინძლებისკენ იხრებოდა. 11-მეტრიანის ნიშნულთან მინდორი ამოთხრილი იყო, მაგრამ მსაჯმა იმ ორმოდან ბურთი არ გაშაწვეინა და იძულებული ვიყავი, ძალაზე დამერტყა. კიდევ კარგი, მოგერიებულს დავამატე...

— ირლანდიასთან ბოლო თამაშში არ ეტყობოდა გუნდს, რომ შედარებით შეთამაშებული იყო?

— ასე იყო და თანაც, თავიდანვე ორი გოლი გავიტანეთ, რამაც

თავდაჯერება შეგვმატა. ბოლო წუთზე კი გადავრჩით, ირლანდიელი ფორვარდი რევანს თვევორაძესთან პირისპირ დარჩა, თუმცა პენალტზე წავიდა და ჩვენმა მეკარემაც ჭკვიანურად გაატარა, არ ეუხეშა. საერთოდ, შეთამაშებაზე რა ვითხრათ, მაგრამ სამივე მეტოქე ჩვენზე მეტს დარბოდა, გამძლეობის მხრივ გვეჯობდნენ, თორემ ორთაბრძოლებში არ ჩამოვუვარდებოდით.

— ჰაინც ტოპიოლერი რას გეუბნებოდათ, ძალიან უკმაყოფილო იყო? და საერთოდ, რა სტილს და რა კომპონენტებს ანიჭებს იგი უპირატესობას?

— კარგი მწვრთნელია — უფრო ტექნიკაზე აკეთებს აქცენტს, ვიდრე კლაუს ტოპიოლერი. ისე კი, ორივენი შემტევი სტილის მიმდევრები არიან.

— ჰაინცის გარდა, კლაუს ტოპიოლერიც აქტიურად გხელმძღვანელობდათ ვარჯიშებზე...

— კლაუს ტოპიოლერი დიდი მწვრთნელია. ხშირად გველაპარაკებოდა არა მარტო ფეხბურთზე, თავის გამოცდილებას გვიხიარებდა. ძალიან კონტაქტური პიროვნებაა, უშუალოდ ფეხბურთში კი ბრძოლაზე ამხვილებდა ყურადღებას — უმეტესად ისეთ ეპიზოდებზე ბრაზდებოდა, როცა არწასაგებ ორთაბრძოლებს ვაგებდით.

— ახლა რომ იწყებოდეს ამ ჯგუფის მატჩები და მეტოქეების თამაში გაშიფრული გქონდეთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი გექნებოდათ?

— ირლანდიას ისედაც მოუვგოთ და კიდევ მოუვგებდით, ალბათ სლოვაკეთსაც დავამარცხებდით, მაგრამ თურქეთისა რა ვითხრათ. ძალიან ძლიერები არიან, თვით იტალიელ თანატოლებს 5:0 მოუგეს. თანაც, რამდენიმე წელია, ერთად თამაშობენ თითქმის უცვლელი შემადგენლობით — თურქეთის ეს ნაკრები ორი წლის წინათ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

— პირადად შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— ორი გოლი გავიტანე, რამდენიმე გასატანი კიდევ მქონდა, მაგრამ მთლად კმაყოფილი როგორ ვიქნები. ისე, თავი არ დამიზოგავს. ცოტა გადაღლილიც ვიყავი, თან საქართველოს თასის ფინალში კუნთი გამეჭიმა და მთლად ოპტიმალურ ფორმაში ვერ შევხვდი ტურნირს.

— სამაგიეროდ, ახლა გაქვს დასვენების დრო...

— კი, სულზე მომისწრო არდადეგებმა, თორემ ძალიან გამოფიტული ვარ. იენისამდე „ამერს“ დასვენება აქვს...

ილია ნანოზაშვილი

## მსაჯთა ასოციაციაში ხუთიულები გამოავლინა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართა მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სფუის რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელები, მსაჯთა დამკვირვებლები და მსაჯები.

დამსწრეებმა მოისმინეს სფმია-ს (საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია) ვიცე-პრეზიდენტი ოთარ გუნთაძის და სფუის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძის მოხსენებები მე-17 ეროვნული ჩემპიონატის შედეგების შესახებ.

ასოციაციის გადაწყვეტილებით, დადგინდა განვლილი ჩემპიონატის საუკეთესო არბიტრთა და ასისტენტთა ხუთიულები (ანანის მიხედვით):

**არბიტრები:** გ. ვადაჭკორია, ლ. კვარაცხელია,

ლ. სილაგავა, ლ. ფანიაშვილი, დ. ხარიტონაშვილი.

**ასისტენტები:** მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, გ. ჩივოგიძე, ზ. ჯვარიძე.

ვინაიდან სფმია-ს პრეზიდენტი ანატოლი მილჩენკო ამჟამად მუშაობს ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბში, წესდების თანახმად, მისი მოვალეობების შესრულება დაევადა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ გუნთაძეს. ამ საკითხს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

წესდების თანახმად, ასოციაციის მორიგი კონფერენცია გაიმართება 2006 წლის დეკემბერში.

სხდომის მონაწილეებმა მიმართეს მომავალ კონფერენციას, რათა შემოაღწიონ ასოციაციას (სფმია) ეწოდოს მსაჯთა და დამკვირვებელთა ასოციაცია.

**სფუის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება**




პაპიანი კაპიტანის ფოტო

# სპრეზამ ყველაფერი გაეოიწყა დავით სავასტოპოლოს ნახევრადსერიოზული პირობა

დავით სევასტოპოლომ თბილისის „ამერამდე“ „დინამო 2“, ოზურგეთის „მერცხალი“ და ქიათურის „მადაროელი“ მოიარა...

ნინა სეზონში „ამერის“ უმაღლეს ლიგაში აღზევებაში „სევამ“ უდიდესი როლი შეასრულა, წლეულს კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდთან ერთად საქართველოს თასი მოიგო. მასთან სასაუბროდ არასაფეხბურთო საბაბიც გვქონდა და გუშინ მშობლიურ ქიათურაში შევეხმიანეთ...



წელს თასი მოვიპოვეთ. სეზონის დაწყების წინ ასეთ წარმატებაზე მხოლოდ ოცნებას თუ შევძლებდით. მაღლობა მინდა უთხრა „ამერის“ ხელმძღვანელობას, ორი წლის წინ „მადაროელიდან“ რომ გადამიყვანეს, მენდნენ და ასეთი შანსი მომცეს.

— ვიცით, რომ თავის დროზე ამირან სევასტოპოლო ჩინებული ფეხბურთელი იყო...

— როგორც მეუბნებიან, მამაჩემი უკეთესი ფეხბურთელი ყოფილა, ვიდრე მე ვარ. ენახოთ, ცდას არ დავაკლებ და ეგებ ვაჯობო კიდევ.

— შენი თამაშის შეფასებისას რამდენად მკაცრია?

— თითქმის ყოველთვის უკმაყოფილოა. რა თქმა უნდა, ფინალს ტრიბუნიდან ადევნა თვალი, მერე გასახდელში შემოვიდა და მოგვილოცა, მაგრამ ის მაინც მითხრა, შენი თამაში არ მომეწონა.

— იქნებ იმიტომაც, რომ შენთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშობდი...

— „ამერამდე“ განაპირა ნახევარმცველად არასოდეს მითამაშია, მაგრამ გუნდს რადგან დასჭირდა, შესაძლებლობის მაქსიმუმი გავიღე. არც ისე იოლი საქმეა, ერთი შეხედვით რომ ჩანს — თავდასხმაში გაცილებით მიაღვივლება თამაში.

— მალე უფას თასზე მოგიწევთ თამაში. ევროპა ევროპაა და გუნდს ალბათ გაძლიერება სჭირდება. შენი ნება რომ იყოს, რომელ პოზიციაზე დაიმატებდი ფეხბურთელებს?

— ჩემი ნება რომ იყოს, არ ვიქარებდი ფეხბურთელების დამატებას. „ამერი“ ძალიან შეკრული გუნდია და ჩვენი სიძლიერეც ამ ერთობაშია. უფას თასის პირველ ეტაპს დღევანდელი ძალებითაც უნდა მოვერიოთ, მერე კი, ვითარებიდან გამომდინარე, გაძლიერებაც შეიძლება.

გიორგი ნოზაძე

არ დაუთქვა-მეთქი...

— ეგეთი არაფერი ყოფილა, თუმცა საჩუქარი კარგი კი გამომივიდა — თასის მფლობელის მედალი ჩამოვუტანე. ის დღეები მართლაც ძალიან დატვირთული იყო ემოციებით. ფინალი რომ დასრულდა, არ მახსოვს რას ვაკეთებდი, როგორ გამოვხატავდი სიხარულს.

— სამაგიეროდ, მე მახსოვს: სულიერ დავითამაშეილა ზურგით გარბენინა. როგორც ჩანს, ამით გამოისყიდა, რაც მთელი სეზონის განმავლობაში შენიშვნები გაძლია...

— მართლ მავით კი არა, „აბრეზამ“ მთელ თამაშში ყველაფერი

ერთად გამოისყიდა. ფინალზე ჩემი მშობლიური ქიათურიდან ერთი მიკროავტობუსით იყვნენ ჩამოსულნი ქობაგები. მატჩის დასრულების შემდეგ „აბრეზამ“ ქიათურელებთან მიმიყვანა, მათთან ერთად მომილოცა და დაჰპირდა, თასს ქიათურაში ჩამოვიტანოთ. თასი ჯერ ჩამოვიტანეთ, მაგრამ თავად ბიჭები კი იყვნენ ჩამოსულნი და ჩემი სიხარული გაიხიარეს.

— უადგილო იქნება იმის შეკითხვა, წინა სეზონი შენთვის საუკეთესო იყო თუ არა...

— რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში გადმოვედით და პირველსავე

— ამ ორ კვირაში შენს ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა — საქართველოს თასი მოიპოვე და დაოჯახდი. ფინალში მოგებამ ხომ არ დააჩქარა შენი მომდევნო ნაბიჯი?

— გადაწყვეტილება მანამდე მივიღეთ, თუმცა ნახევრადსერიოზული პირობა მქონდა დადებული — თასს თუ მოვიგებ, დავოჯახდები-მეთქი.

— ვის შეპირდი?

— „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას.

— გასაგებია. ვიფიქრე, ასეთი პირობა მომავალმა მეუღლემ ხომ

# სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემის განხილვა

როგორც მოგეხსენებათ, უფა-ს 2006-07 წლების სეზონის ლიცენზირების პროცესში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 16-მა კლუბმა — უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა (სკ გორის „დილას“ გარდა) და პირველი დივიზიონის სკ „რუსთაველა“. სეზონის მსვლელობისას, სკ თბილისის „ლოკომოტივი“ და სკ ბათუმის „დინამო“ წერილობით უარი განაცხადეს ლიცენზირების პროცესში მონაწილეობაზე.

საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირთათვის და ფინანსისტებისთვის, აგრეთვე სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის ჩატარდა სწავლება-სემინარები. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების განყოფილების თანამშრომლები და ექსპერტები სისტემატურად ესმარებოდნენ კლუბებს სხვადასხვა სახის კონსულტაციებით. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების თანამშრომლები, ლიცენზირების მენეჯერის, ქალბატონ ლალი ლობჯანიძის ხელმძღვანელობით დღესაც აქტიურად მონაწილეობენ საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ჩატარებულ ღონისძიებებში და შესაბამის პირებსა თუ ორგანიზაციებს აწვდიან რეკომენდაციებს და დოკუმენტურ მასალებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ კლუბს ლიცენზირების მოთხოვნების დაკმაყოფილებისას სერიოზული პრობლემები შეექმნა იურიდიული, საკადრო თუ ფინანსური მოთხოვნების კრიტერიუმის (აღარ ვსაუბრობთ სპორტულ

ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არამარტო კლუბების, არამედ მთელი ქვეყნის პრობლემაა), ხშირ შემთხვევაში დაირღვა ლიცენზირების დადგენილი ვადებიც. საბოლოოდ, აპრილის ბოლოს, კლუბებმა მეტ-ნაკლები წარმატებით წარმოადგინეს საჭირო დოკუმენტაცია.

2006 წლის 8 მაისს გაიმართა სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებითაც, უფა-ს 2006-07 წლების საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიეცა საფეხბურთო კლუბებს: ბოლნისის „სიონი“, თბილისის „ვიტჯორჯია“, „დინამო თბილისი“, ბორჯომის „ბორჯომი“, თბილისის „ამერი“, თბილისის „სპარტაკი“.

უფა-ს 2006-07 წლების საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის პირობითი ლიცენზია მიეცა სკ „ზესტაფონს“, რომელსაც 2006 წლის 18 მაისამდე უნდა წარმოედგინა ლიცენზირების ექსპერტების მიერ მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკ „ზესტაფონის“ ლიცენზია გაუქმდებოდა.

უფა-ს 2006-07 წლების სეზონის ევროტურნირში მონაწილეობის ლიცენზია არ მიეცათ საფეხბურთო კლუბებს: ფოთის „კოლხეთი 1913“, „თბილისი“, თელავის „კახეთი“.

ლიცენზირების მოთხოვნის სრული იგნორირებისა და შეუსრულებლობის გამო, საფეხბურთო კლუბებს, ქუთაისის „ტორპედ-

ოს“, „ცხინვალს“, სოხუმის „დინამოს“, „რუსთავს“ საკითხის განუხილველად ეთქვათ უარი უფა-ს 2006-07 წლების სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზიაზე.

კომიტეტმა საფეხბურთო კლუბებს დაუწესა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული თუ ფინანსური სანქციები. კლუბებს აგრეთვე მიეცათ მკაცრი გაფრთხილებები ლიცენზირების ვადების დარღვევისა და C თანრიგის კრიტერიუმების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. მსგავსი დარღვევების გამეორებისას, ისინი დაისჯებიან ფულადი ჯარიმით.

უკმაყოფილო კლუბებს ჰქონდათ უფლება, 15 მაისამდე გაეხსარიერებინათ სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება ლიცენზირების გაცემასა თუ სანქციებთან დაკავშირებით, მაგრამ დადგენილ ვადებში მსგავსი განცხადებით სფფ-სთვის არც ერთ კლუბს არ მიუშართავს.

19 მაისს სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტი კიდევ ერთხელ შეიკრიბა და იმსჯელა სკ „ზესტაფონის“ საკითხზე. კომიტეტის გადაწყვეტილებით, სკ „ზესტაფონმა“ ვადებში წარმოადგინა მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რითაც დააკმაყოფილა პირობითი ლიცენზიის გაცემისას მისთვის წაყენებული მოთხოვნები და მისი ლიცენზია ძალაში დარჩა.

ამგვარად, უფა-ს 2006-07 წლების სეზონის ევროტურნირში მონაწილეობის ლიც-

# სარბიება ეპროზა მარცხით დაინჯეს

სარბიების 21-წლამდელთა ნაკრები ქართველთათვის აქტუალური თემაა — გეცოდნებათ, ისინი ჩვენი 21-წლამდელთა საეკრომე-სარჩევო მეტოქეები არიან ლიტვასთან ერთად.

შეგახსენებთ, ლიტვა-სერბეთ-საქართველოს სამეულიდან მხოლოდ გამარჯვებული გავა პლეი ოფში და თუ ერთ ეტაპსაც გადალახავს, ფინალურ ეტაპზე მოხვდება. რაღაც მინგუს გუნდი 15 ივლისს ბალტიისპირელებთან სტუმრად ჩავა, 16 აგვისტოს კი შინ მიიღებს ბალკანელებს.

სერბი 21-წლამდელთა ახლა პორტუგალიაში, ევრო 2006-ის ფინალურ ეტაპზე თამაშობენ, რომელიც გუშინ დაიწყო. სერბთა ჯგუფში საფრანგეთი, გერმანია და პორტუგალია არიან. ბალკანელებმა ტურნირი გერმანიასთან 0:1 წაგებით დაიწყეს, არადა, თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ, კოლი კი 61-ე წუთზე გაუშვეს.

ქართველთა მომავალ მეტოქეს დრაგომირ ოკულა წვრთნის და მან გერმანელებთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

სტიოკოვიჩი, ივანოვიჩი, სტეპანოვი, ბიშევაცი, ლომიჩი, პასტა, კრასიჩი, მილივანოვიჩი (მილიაში 68), ვუკუშევიჩი (ტოდოროვიჩი 76), ანკოვიჩი (პუროვიჩი 64), კუჩინიჩი.

დღეს სერბები პორტუგალიას ეთამაშებიან, ჯგუფის ბოლო ტურში კი საფრანგეთს გაეჯობებიან.

ილია ნანოზაშვილი




ფრანჩესკო სავერო ბორელი

# სელეზი დაბანილია, დავიბანოთ ფეხები! კალრო კორალო კატანი დაიჭირა

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიება კი გრძელდება და ახლახან ეს საქმე ახალ გამოძიებელს, ფრანჩესკო სავერო ბორელის ჩააბარეს. ეს ადამიანი აპენინებზე ძალიან ცნობილია. 1992-98 წლებში იგი კორუმპირებულ პოლიტიკოსებს ებრძოდა და სათავეში ედგა კამპანიას, რომელიც ისტორიაში „MANI PULITE“-ს (სუფთა ხელები) სახელითაა შესული. ბოლო 4 წელი იგი საქმიანობას ჩამოშორებული იყო, მაგრამ ახლა ამ სკანდალის გამოძიება არ იუარა, რომელსაც იტალიაში ხუმრობით უწევენ „PIEDI PULITI“ (სუ-

ფთა ფეხები) დაარქვეს. მოგესვენებთ, გასერილი ბევრია, მაგრამ ყურადღების ცენტრში ტურინის „იუვენტუსის“ და ელიან, რომ თუ „ბებერ ქალბატონს“ დანაშაულები დაუმტკიცდა, გუნდი ძალიან მკაცრად დაისჯება, ბევრად მკაცრად, ვიდრე სხვები. კერძოდ, საუბარია სკუდეტოების ჩამორთმევაზე, სერია B-ში დაქვეითებაზე და სხვა მძიმე სასჯელებზე. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი განაჩენი, წესი, ივლისის პირველ კვირაში უნდა გამოიტანოს, იქამდე კი გამოძიება ალბათ, კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს ამოატივტივებს.

ამჟამად, „იუვენტუსის“ ბოლო ორი სკუდეტოს ჩამორთმევაზე საუბარი. ორივე შემთხვევაში მეორე ადგილზე „მილანი“ გავიდა და წესით ტიტულები მას უნდა გადაეცეს. თუმცა „როსონერის“ ბანაკში ფეხბურთელების აბსოლუტური უმეტესობა ამ ამბავს ადფრთოვანებით სულაც არ ხვდება. ალესანდრო ნესტა: „მე ვერ მივიღებ იმ ორ სკუდეტოს, რომლის წარმომავალსაც „იუვენტუსის“ უპირებენ და ნამდვილად ვერ ვიზიებ მათ მოპოვებას. უმჯობესი იქნება, თუ ამ ორ ჩემპიონატს უბრალოდ, არ ჩავთვლით. ასევე სამარცხვინო იქნება, თუ ტურინელებს სერია B-ში დააქვეითებენ. თუმცა მათ, ვინც შეცდომები დაუმეცხ, პასუხი უნდა აგონ და მოიბოდიშონ. იმედი მაქვს, სამართალი იხიებებს“.



ალესანდრო ნესტა

ბიორგი ბაბაბაძე

იტალიური „მილანის“ მცველმა ალესანდრო ნესტამ განაცხადა, რომ დაუმსახურებელი ტიტულები არ სურს და არც „იუვენტუსის“ სერია B-ში გაგდება იქნება მართებული.



ალესიო სეკო და ფაბიო კაპელო

## სეკო და კაპელო იმოჯებენ

როზორც ჩანს, ტურინის „იუვენტუსის“ შეფობამ ლუჩანო მოჯის ადგილას გენერალური მენეჯერის „გარედან“ მოყვანა გადაიფიქრა. გუნდის დროებითი მმართველის კარლო სანტალბანოს გადაწყვეტილებით, ამ პოსტს ალესიო სეკო და ფაბიო კაპელო შეითავსებენ. კერძოდ კი კაპელო ბრიტანული სტილის მენეჯერი გახდება და ახალი ფეხბურთელების შექმნა-არშემქმნას თავად გადაწყვეტს და ბოლო სიტყვას იტყვის. სეკო კი ახალი მოთამაშეების ძებნით და სხვა საქმეებით იქნება დაკავებული, რის მერეც კაპელოს რჩევებს მისცემს. იტალიურ ფეხბურთში ეს მეთოდი ახალია, რადგან აქამდე ყველაფერი პირიქით იყო — მწვრთნელებს უფლება ჰქონდათ, სასურველი ფეხბურთელები დაესახელებინათ და დირექტორებისთვის ეთხოვათ ამა თუ იმ მოთამაშის ყიდვა, მაგრამ საბოლოო სიტყვას ვერ ამბობდნენ და ვის იყიდდა კლუბი, რეალურად მათზე არ გახლდათ დამოკიდებული.

კაპელოს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. აი, ალესიო სეკოზე კი ორი სიტყვის თქმა ურიგო ნამდვილად არ იქნება. იგი 36 წლისაა და „იუვენტუსის“ 1998 წლიდან მუშაობს. თავიდან მედიასთან ურთიერთობის განყოფილებაში იყო, მერე კი — გუნდის მენეჯერთაგან. გასულ სეზონში ზლატან იბრაჰიმოვიჩმა უყვირა კიდევ, რაზეც მცირე სკანდალი აგორდა. შვედი „ტრევიზოსთან“ მატჩში ნაადრევად შეცვლით იყო უკმაყოფილო და ჯავრი სათადარიგოთა სკამზე მჯდომ სეკოზე იყარა. „დღეიდან სეკო, კაპელოსთან ერთად, 2006-07 წლების სეზონისთვის მუშაობას დაიწყებს. დარწმუნებული ვარ, ეს ახლებური სისტემა კარგ შედეგს მოგვითმის, რადგან ორივე მათგანი დიდი პროფესიონალია. მჯერა, ქომაგებიც კმაყოფილნი დარჩებიან.“ — განაცხადა კარლო სანტალბანომ.

ბიორგი ბაბაბაძე

## გკითხაობა ტოტიზე დელ პიერომ ბიჭები დააფრთხო

იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო ტოტი ჯერ ისევ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა და ძნელი სათქმელია, შეხვდება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის დასაწყისს სათანადო ფორმაში. მართალია, მძიმე ტრავმის შემდეგ იგი მოსალოდნელზე მალე გამოჯანმრთელდა და სეზონის ბოლომდე ორჯერ თამაშაც მოასწრო, მაგრამ ექიმები დამაიმედებელ განცხადებას ჯერ ვერ აკეთებენ. „შემიძლია, გითხრათ, რომ ამჟამად ნაკრები ნორმალურ ფორმაშია. კონკრეტულად ტოტიზე, გადაჭრით ჯერ ვერაფერს ვეტყვი. იგი გუნდთან ერთად ვარჯიშობს და პარალელურად იმ სარეაბილიტაციო კურსსაც აგრძელებს, რომელიც „რომაში“ ჰქონდათ დაგეგმილი. იქნება თუ არა მუნდიალის დაწყებისთვის იგი სათანადო ფორმაში, ჯერ ძნელი სათქმელია. ზუსტი დიაგნოზი რამდენიმე დღეში გაირკვევა“ — აღნიშნა „სკუადრა აძურას“ ექიმმა ენრიკო კასტელაციმ. ფეხბურთელები შეშინდნენ, როდესაც ერთ-ერთ ვარჯიშზე ალესანდრო დელ პიერომ მცირე ტრავმა მიიღო და ტკივილისაგან შოკშიც ჩაყარდა. თუმცა იტალიელთათვის სასიხარულოდ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსის“ კაპიტანი ფეხს ოღნავ იტკივდა, გუნდთან ერთად ვარჯიში მალევე გააგრძელა.



სარბიელი



რუნი ფერგიუსონმა დამალა, მაგრამ მაიკ სტოუნმა გაამხილა

## საირი: უოტლანდიელმა სერკა ინგლისს ინგლისელი დაუგალა ფარგიუსონმა გუნდს ექიმი მოაჭრა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ერთხელაც დაანხა სრულიად ინგლისის თავისი ნამდვილი სახე — კლუბიდან გააგლო ექიმი, რომელიც ათი წლის განმავლობაში უკლიდა და პატრონობდა დაშავებულ ფეხბურთელებს. რატომ გააგლო ფერგიუსონმა დოქტორი მაიკ სტოუნი? ცხადია, ცუდი ექიმობის გამო არა. სერ ალექსმა ასეთი რამ იმიტომ მოიმოქმედა, რომ მაიკ სტოუნმა უეინ რუნი გამოაჯანმრთელა და მერე ამის შესახებ ინგლისის ნაკრების ექიმს, ლიფ სვორდს ახარა. ახლა უფრო დინჯად გავისწინოთ მთელი ისტორია: მოგესვენებთ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდი, 20 წლის უეინ რუნი დამავდა და განდა ბუნებრივი კითხვა, შეძლებს კი ინგლისელთა იმედი და ვარსკვლავი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოჯანმრთელდეს? ამ კითხვამ სერ ფერგიუსონი იმთავითვე გააღიზიანა და განაცხადა, წავა თუ არა რუნი

ვერმანიაში, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი კი არა, მე გადაწყვეტ, შევდს არავინ ეკითხება. ერთი სიტყვით, რუნის დამავების დღიდანვე ნათელი შეიქნა, რომ ფერგიუსონს თავდაგმისხმელის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაშვება არ უნდოდა და მისი ნება რომ ყოფილიყო, რუნის გამოჯანმრთელების ამბავს დამალავდა, მაგრამ ცხოვრებამ სხვანაირად განსაჯა — სხენე-ბულმა ექიმმა მაიკ სტოუნმა როგორც პატრონსანმა ადამიანმა და როგორც ინგლისელმა რუნის უმკურნალა კიდევ და ამის შესახებ, როგორც მოგახსენეთ, ნაკრების ექიმებს უთხრა, რომელთაც ეს ამბავი გაზრეების საშუალებით ერს ახარეს. და ბოლოს, ერთი დეტალი: სართოდ, ალექს ფერგიუსონის ეროვნება იშვიათად რომ ვინმე გავისწინოს, ამჯერად კი „სანი“ „სხვათაშორის“ წერს, შოტლანდიელმა ასე ქნა და ასე მოიქცაო. ეს საინტერესოა.

ბაბუნა გელია



# ფერნანდესმა ფიცი გატეხა



„მარსელის“ მწვრთნელი ჟან ფერნანდესი თავისი ნებით გადადგა, არადა ორი კვირის წინ იფიცებოდა, აქედან წამსვლელი არ ვარო.

„კლუბის თავმჯდომარე პაპე დიუფი და მწვრთნელი შეხვედრენ, ისაუბრეს და ფერნანდესმა პირადული მიზეზის გამო წასვლა ითხოვა. ჩვენ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ. მადლობა მოვუხადეთ და გავათავისუფლეთ“ — განაცხადა „მარსელის“ პრესმდივანმა.

ფერნანდესის სავარაუდო შემცველთა ნუსხაში პირველი დიდ დემანია, რომელსაც პაპე დიუფი უკვე დაუკავშირდა. დემანი იმ „მარსელში“ თამაშობდა, 1993 წელს ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო.

სხვა კანდიდატები კი არიან: ლორან ბლანი, 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი რენე ჟირარი და „ბორდოს“ ყოფილი თავკაცი ჟერნო რორი.

ჟან ფერნანდესი შესაძლოა „ოსერის“ მწვრთნელი გახდეს, საიდანაც ჟაკ სანტინი გაუშვეს. ფერნანდესი შარშან მივიდა „მარსელში“ და ორწლიანი კონტრაქტი ჰქონდა. გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურიც ვერ მოიპოვა და საფრანგეთის თასის ფინალში ჰეს-სთან დამარცხდა.

მათა ხუციფილი



## ამხანაგური მატჩები



**ს. კორაა ჩ სენეგალი**  
 10 ჩუ ონგ პარკი (74), 11 ნდიაიე (79)  
**მსოფლიოს** ჩემპიონატი მოახლოვდა და ახლა ამხანაგური მატჩებიც მომრავლდება.

წინა მუნდიალის თანამასპინძელი სამხრეთ კორეა, რომელსაც დიკ ადვოკატი წვრთნის, სეულში სენეგალს შე-

### პარკი არ იყო, პარკმა გაიტანა

ხვდა და დაუზავდა. მატჩი იმ სტადიონზე გაიმართა, სადაც ოთხი წლის წინ სენეგალელებმა მსოფლიო გააოცეს — ჩემპიონ საფრანგეთს 1:0 მოუგეს. აფრიკელები ამჯერად მუნდიალის მიღმა დარჩნენ, კორეელები კი გერმანიაში ითამაშებენ. ადვოკატის გუნდს ვგუფში ტოგო ჰყავს და ამიტომაც არჩია სენეგალთან ამხანაგურად გაჯიბრება — ორივე აფრიკულია.

კორეელებს არ ჰყავდათ გუნდის ლიდერი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ჯი სუნგ პარკი იგი ორკვირანახევრის წინ პრემიერლიგის მატჩში დაშავდა, ვერ ბოლომდე არ გამოკეთებულა და ადვოკატმა ამიტომ არ გარისკა.

კორეელებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ და თამაშის დასრუ-


ლებამდე თექვსმეტი წუთით ადრე გახსნეს ანგარიში. ჰეონის პასით 20 წლის იონგ პარკმა გაიტანა, მაგრამ მასპინძლების სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ხუთიოდ წუთში მუსა ნდიაიემ შორიდან „გაისროლა“ და მეკარე უსაქმოდ დატოვა.

აქვე ვთქვათ, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში იუნგ ჰვან ანმა გოლი შეაგდო, თუმც მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა.

დიკ ადვოკატი: „ჩემი გუნდის თამაშში კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელები ფიზიკურად კარგ ფორმაში არიან, რაღაც-რაღაცები კი დასახვეწი გვაქვს“.

მათა ხუციფილი

## ჩერუნდონდლო



**კლაუდიო რეინა (110)**  
**აშშ 0:1 მაროკო**  
 0:1 მაილი (90)  
**ამერიკის** ნაკრები, რომელიც სამშობლოში ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ნეშვილში მაროკოსთან დამარცხდა. ბრიუს არე-

ნამ 4-1-3-2 ათამაშა გუნდი და, ალბათ, ამ სქემას გამოიყენებს გერმანიაშიც. დაცვის ცენტრში ონიეკუ და პოუპი იყვნენ, განაპირა მცველები კი ჩერუნდოლო და გიბსი. საყრდენობა კლაუდიო რეინამ იკისრა, გამთამაშებელი ლანდონ ღონოვანი იყო. ფლანგები ობრაიენს და ბისლის ჩააბარეს, ხოლო შეტევაში მაკბრაიდი და ვოლფი თამაშობდნენ.

მეთხუთმეტე წუთისთვის, როცა მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა, კლაუდიო რეინა დაშავდა და შესაცვლელი გახდა. ნაკრების კაპიტანს მუხლის მყესები დაუზიანდა. იგი პაბლო მასტრონიმ შეცვალა, რომელიც მატჩის შემდეგ საუკეთესოდ აღიარეს.

ამერიკელებმა 13-ჯერ დაარტყეს კარში და ვერ გაიტანეს, ბოლო წუთზე კი ჩერუნდოლოს შეცდომის გამო წააგეს. ჩერუნდოლომ ბურთი მეტოქეს ჩააბარა, რომელსაც გაატანა არ გასჭირვებია.

რამდენი ხანი დასჭირდება რეინას მკურნალობას, უცნობია. თავად ფეხბურთელმა თქვა, ოპტიმისტი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ტრავმა მალე მომიშუდებაო.

მათა ხუციფილი



**ივან კლასნიჩი**  
**ავსტრია 1:4 სლოვატია**  
 0:1 კლასნიჩი (13), 1:1 ივანოვიჩი (16), 1:2 კლასნიჩი (35), 1:3 ბაბიჩი (55), 1:4 ბალაზანი (67)  
**სლოვატიის** ნაკრებმა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩი ბრაზილიასთან ელის, ვენაში ავსტრიას მოუგო, თუმც თამაშის დასაწყისში ტუდორის შეცდომის გამო მასპინძლებს შეუძლოთ ანგარიშის გახსნა. ზღაპრული კრანჩარმა ავსტრიელებს ძირითა-

### პლემიკოვას კუთხურიდან ჩაუხვიეს

დი შემადგენლობა დაუპირისპირა. მეცამეტე წუთზე ხორვატების კონტრშეტევა გოლით დასრულდა. დედო პრსომ მარცხნიდან ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც კარისკენ ზურვით მდგომმა კლასნიჩმა მიიღო ბურთი, შებრუნდა და დაბალ კუთხეში გაიტანა.

სამ წუთში ავსტრიელმა ივან-შიცმა კოხტა გოლით გაათანაბრა — კუთხურიდან პირდაპირ კარში ჩაუსვა ბურთი პლემიკოვას.



ოციოდ წუთში ხორვატები კვლავ დაწინაურდნენ — კლასნიჩმა საჯარიმოს ხაზთან სამი მცველი გააბითურა, მეკარეც ზედ მიაყოლა და ცარიელ კარში გაიტანა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა კიდევ ორი შეაგდეს. ბაბიჩის დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და გეზნაცვალი შევარდა ბადეში, ხოლო შეცვლაზე შესულმა ბალაბანმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა ბრწყინვალედ — დაახლოებით 25 მეტრიდან ცხრიანში ჩაახვია.

კოკი კანდელაკი

# უნიჭო თავი კარგად გუზაროს მაშის დარიბება: ბაიოფლი!

გერმანიის ეროვნული გუნდის 29 წლის კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა „შპიგელთან“ ინტერვიუში ბუნდესნაკრების სათამაშო სტილზე, მიზანზე, ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლაზე და „ბაიერნთან“ გამომშვიდობებაზე ილაპარაკა...



მიხაელ ბალაკმა ული ჰიონესს შეუტია

— მსოფლიოს ჩემპიონატზე შეპტევი ფეხბურთის ზეიმს თუ ვიზილაკვთ?

— ალბათ. თანაც მუნდიალზე ხომ სამხრეთამერიკული გუნდები ჩამოდიან, რომელთაც ტრადიციულად მოძრაობა და დინამიკა სწევიათ. ამას კი აფრიკელთა თავისუფალი ბურთობაც დაემატათ — შავი კონტინენტის წარმომადგენლებისთვის ხომ მოძრაობის განსხვავებული სტილი და ენერგიული სირბილია დამახასიათებელი. ხშირად, დიდი ტურნირების მსვლელობისას ვლინდება ის ტენდენციები, რასაც ჩემპიონატებამდე ვერავინ ითვალისწინებს — სიახლეებს ყველა ერთბაშად ამჩნევს და წამსვე იტაცებს. გუნდებისთვის მთავარი, საკუთარი ძალების სწორად შეფასება და იმ სტილის მოძებნაა, რომლითაც თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმს გამოავლენენ.

— გერმანელთა სათამაშო ყაიდა როგორია?

— ახლა, წინასამუნდიალო მზადებისას, ჩვენ ახალი სტილი უნდა შევიშუშოთ, რათა ძველი, რაც შეიძლება სწრაფად დაევიწყეთ.

— ძველი, ანუ კლინსმანის მწვერთნელობამდელი?

— დიან. როგორც კი კლინსმანის გერმანიის ნაკრების თავკაცად დანიშნეს, მალევე მივხვდით, რომ მოედანზე სიტუაციას სწორად აფასებდა. თამაშის მოწინააღმდეგის მისადაგობთან სწრაფად გადატანა და მოედნის ცენტრშივე იერიშის გაშლა — ამ მანერით გულშემატკივარმაც გაიგო, რომ ნაკრებს თამაშის შეცვლა სურდა.

— თუმცა ბევრმა უკვე მაშინვე აღნიშნა, რომ კლინსმანმა პოპულიზმის მიზნით, ხალხის გულის მოსაგებად, ნაკლებად მნიშვნელოვან მატჩებში მიმართა ამ ტაქტიკას. როცა გაგიჭირდებათ, ვინმე იხევე რუდი ფილიერის დროინდელს დაუბრუნდეთ...

— არავითარ შემთხვევაში. კლინსმანი თავისი გზით მიდის, დაპირისპირებებს არავისთან ერიდება, არც გუნდის წევრებთან და სულ არ აინტერესებს, რას ამბობენ სხვები. შეიძლება ითქვას, რომ მწვერთნელი მიზნის განსახორციელებლად კონფორტაციას დაეძებს. მაგრამ ეს გზა რთულია, ყველა ფეხბურთელმა თავისი დონე უნდა გადახედოს — ყოველთვის ამჩნევს იგი საგოლე პოზიციასზე მყოფ თანაგუნდელს? ორი წამი ბურთის დასამორჩილებლად ყოფნის, რომ მერე თამაში

გაგაგრძელოს? ბევრს ნაკრებში წარმატებები აქვს, მაგრამ კლუბებში პრობლემები აწუხებთ და მინაურ ჩემპიონატებში ნაკლებად, ან სულ არ თამაშობენ. ამიტომაც ყველაფერი თავიდან უნდა დაევიწყეთ.

— მუნდიალზე მოთამაშე გერმანელ ფეხბურთელთა სიის გამოცხადებაც რაღაც სახეიმო, სახელმწიფო მნიშვნელობის აქტის გამოქვეყნებას ჰგავდა. მსოფლიოს პირველობაზე მასპინძელთათვის ყველაფერი საშინლად რთული და მნიშვნელოვანი იქნება... ფიქრობთ, რომ თამაში მაინც საიმოვნებას მოგანიჭებთ?

— მე კარგი და წარმატებული ფეხბურთის თამაში მინდა, თორემ მოშვების და ცუდად ბურთობის უფლება არც გვექნება. თუმცა მალე იქნება სიტუაცია, როცა მუნდიალშიდმა დარჩენის საფრთხე დავეშუქებთ. ჩემპიონატზე მეორე თამაშიდან ყველა მომდევნო მატჩი შეიძლება უკანასკნელი გამოდგეს. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე კლუბი და ნაკრები არსებობს, რომლებიც იმდენად ძლიერნი არიან, რომ ცალკეული ფეხბურთელის შეცდომები მათთან, გუნდის საათივით აწყობილი მექანიზმით იფა-

რება. საკლუბო დონეზე ამგვარად „ბარსელონა“ და „ჩელსი“, სანაკრებოზე კი ბრაზილიის ეროვნული გუნდი თამაშობენ. ჩვენ გერმანიის ნაკრებში თავს ამხელა ფუფუნების უფლებას ვერ მივცემთ. ასეთ დაძაბულ ვითარებაში კი უსაიმოვნო სიურპრიზები ხშირად ხდება.

— ბევრი თქვენ გადანაშაულებთ. ამბობენ, რომ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას არ ცდილობთ. ამაზე განსაკუთრებით მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცობა ამხეილებდა ყურადღებას...

— ვერ დაგეთანხმებით. მე უფრო მნიშვნელოვანი გოლების სიმცირე მიშლის ხელს. მაშინვე სულ მარიგებდა: თუ ნერვიულობ, იქამდე ირბინე, სანამ ოფლში არ გაიქაფები და მაშინ მელგვარებაც სადღაც გაქრება. მინდა, ისე მოვეშალო ჩემპიონატისთვის, რომ შემდეგ საკუთარი თავი არ დავანაშაულო. რა თქმა უნდა, ტურნირის სირთულეს და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას ყველა ფეხბურთელი გრძნობს. ეს კარგია, მაგრამ ზედმეტი დაძაბულობა კარგს არაფერს მოგვტანს და ზოგიერთ მოთამაშეს, რომელსაც მუნდიალის მოლოდინში კოშმარები ეხიზმრება, განტვირთვა

სჭირდება სანაკრებო დონეზე წარმატებით ბურთობისთვის. სიყმაწვილეში ბევრი კარგი ფეხბურთელის გვერდით მოთამაშია, თუმცა ისინი ნაკრებში ვერ მოხვდნენ, მეტწილად ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახეს.

— „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა, მიხაელ ბალაკი ნაკრებში იმიტომ გამოირჩევა, რომ მის გარეშე ვაცილებით სუსტი ბიჭები ბურთობენ, ვიდრე „ბაიერნში“ ამის შესახებ რას გვეტყვით?

— ტყუილია. ჰიონესი ასე ხომ ყველა იმ ბაიერნელს ლანძლავს, ვინც ნაკრებში თამაშობს. სიმართლე კი ესაა: „ბაიერნი“ სერიოზული გუნდია, სადაც გამორჩევა და გაბრწყინება ერთ ვარსკვლავს ვთქვათ, ბასტიან შვანშტაიგერს გაუჭირდება, იმიტომ რომ ჰასან სალიჰამიჯიჩის და მეჰმეთ შოლის ტიპის ვეტერანებიც ძალიან ამბიციურები არიან. „ოლიმპიაშტადიონზე“ ბევრი დასამსოვრებელი თამაში არ მქონია. მატჩი რომ გულშემატკივრებს გონებაში ჩაეტეკლოთ, ამისთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და მისი მოგება საჭირო. სანაკრებო მიზანი უფრო მნიშვნელოვანი ვახლავთ და აქ მეტ ნდობასაც ვიმსახურებ.

— უახლოესი სამი წლის განმავლობაში „ჩელსიში“ ითამაშებთ. მიუნხენში ამბობენ, ბალაკის ლონდონში გადაბარება მარტო რომან აბრამოვიჩის მილიონების გამო მოხდაო. ესეც ტყუილია?

— რა თქმა უნდა. ჩემი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ყოველთვის ფინანსები ხომ არ წყვეტენ ყველაფერს. რატომღაც, „ბაიერნის“ სხვა ძირითად მოთამაშეებთან დაკავშირებით ფულზე არ დავობენ. ვილი სანიოლმა რამდენიმე თვის წინ, როცა კლუბთან კონტრაქტს ახანგრძლივებდა, ასე განაცხადა: ვილის არ უნდა დღევანდელზე დიდი ხელფასი, ვილის დღევანდელზე გაცილებით დიდი ხელფასი სჭირდება... ვის რატომ უნდა, აინტერესებდეს, ფეხბურთელი კლუბისგან რამდენს იღებს?

— მაინც შეგეკითხებით. ლონდონში წელიწადში 10 მილიონ ევროს მიიღებთ?

— არ ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან მოიპოვეთ, მაგრამ მე ადრეც კარგად მიხდიდნენ და მომავალშიც კარგად გადამიხდიან. სიმართლე კი ის არის, რომ დიდ გუნდში თამაშის და საუკეთესო მობურთალებთან ძალების მოსინჯვის პერსპექტივა ყველა ფეხბურთელს ხიბლავს.

— თქვენზე უკვე ანეკდოტებს თხზავენ. შუაუნა წვიმას ფრიც ვალტერის ამინდს უწოდებდნენ, რადგან ლეგენდარული ფეხბურთელი ასეთ დროს უკეთ თამაშობდა. იცით, მიხაელ ბალაკის ამინდს რა დაარქვენ?

— ნამდვილად არ ვიცი.  
— ოქროს წვიმა.  
— ძალიან სასაცილოა.  
— თქვენმა ახალმა მწვერთნელმა ჟოზე მურინიუმ, ტრანსფერამდე ბალაკზე „ბაიერნში“ ცნობები არ შეაგროვა?

— ვერ გეტყვით. თუ გაიკითხავდა, ალბათ, ეტყოდნენ, რომ ბალაკს ტალანტი აბსოლუტურად არ გააჩნია, მაგრამ თავი კარგად უშუშავებს.

— ფიქრობთ, რომ ინგლისში წარმატებებს მიაღწევთ?

— პრემიერლიგაში განსხვავებულად თამაშობენ. უფრო სწრაფად დარბიან და ბურთისთვის ბრძოლაც უფრო მკაცრია. თან წარმატების მიღწევაში ახალი გარემოც ვეხმარება. ზუსტად ეს მინდოდა. „ბაიერნში“ ვიცოდი, რა მქონდა და რასაც ვიმსახურებდი. სხვები, ეტყობა, ბუნდესლიგაშიც კომფორტულად გრძნობენ თავს, მე კი ინგლისურ გამოწვევას არ შეგუშინებია.

## იტალიაში უსსოურად დაუსტკინენ

მოგაპალ სეზონში სერია A-ს ზოგიერთ მატჩში შეიძლება, უცხოელმა არბიტრმა იმსახოს.

იტალიური ფეხბურთის შეფები ამ გადაწყვეტილებამდე იძულებით მივიდნენ, რადგან სკანდალში იმდენი მძალდაკალიფიციური არბიტრია გარეული თუ ეჭვიმტანილი, რომ სამსაჯოდ სათანადო რაოდენობის ხალხი ადარც რჩება. თანაც უცხოელების მოწვევა მეტ გარანტიას იძლევა, რომ „კალჩო“ ყოველგვარ მაქინაციებს მაქსიმალურად აირიდებს.

სამართლიანობისა და პატიოს-

ნების აღდგენაში კი გადამწყვეტი როლი ყველასათვის კარგად ცნობილმა პიერლუიჯი კოლინამ უნდა ითამაშოს. ამბობენ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მმართველ გვიღო როსი ფეხბურთიდან არცთუ დიდი ხნის წინ წასულ და ურყევი რეპუტაციის მქონე თავზოტორა არბიტრს, მსაჯების ასოციაციის თავმჯდომარედ დანიშნავსო. კოლინამ ამ პოსტზე მისის დასაწყისში გადამდგარი ტულოლანეზე უნდა შეცვალოს.

ამ ეტაპზე საუბარია გერმანელი მარკუს მერკისა და ინგლისელი

გრემ პოლის მიწვევაზე, რომლებმაც წესით, გამორჩეულ მატჩებზე უნდა იმსახონ. ბუნებრივია, კოლინა ორივე მათგანს ჩინებულად იცნობს და მოლაპარაკება არ უნდა გაუჭირდეს. შესაძლოა, სერია A-ში სხვა რამდენიმე უცხოელი მსაჯიც ვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ იტალიაში ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა და მაშინაც ჩაწყობების თავიდან ასაცილებლად. საუბარია 1955-56 წლების სეზონზე, როდესაც ავსტრიელი მსაჯები მიიწვიეს.

ბობი კანდილაკი





# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი - 9 ივლისი



მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. **ჯგუფი: არგენტინა, კოტ დივუარი, სერბეთი, ჰოლანდია**

### არგენტინა

#### 1930 ურუგვაი

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 1:0 საფრანგეთი  
 არგენტინა 6:3 მექსიკა  
 არგენტინა 3:1 ჩილე

**ნახევარფინალი**  
 არგენტინა 6:1 აშშ

**ფინალი**  
 ურუგვაი 4:2 არგენტინა

#### 1934 იტალია

**მერვედფინალი**  
 შვედეთი 3:2 არგენტინა

#### 1958 შვედეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 გფრ 3:1 არგენტინა  
 არგენტინა 3:1 ჩრ. ირლანდია  
 ჩეხოსლოვაკია 6:1 არგენტინა

#### 1962 ჩილე

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 1:0 ბულგარეთი  
 არგენტინა 0:0 უნგრეთი  
 ინგლისი 3:1 არგენტინა

#### 1966 ინგლისი

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 0:0 გფრ  
 არგენტინა 2:1 ესპანეთი  
 არგენტინა 2:0 შვეიცარია

**მეოთხედფინალი**  
 ინგლისი 1:0 არგენტინა

#### 1974 გფრ

**I ჯგუფური ეტაპი**  
 აოლონეთი 3:2 არგენტინა  
 არგენტინა 4:1 ჰაიტი  
 იტალია 1:1 არგენტინა

**II ჯგუფური ეტაპი**  
 ბრაზილია 2:1 არგენტინა  
 ჰოლანდია 4:0 არგენტინა  
 არგენტინა 1:1 გფრ

#### 1978 არგენტინა

**I ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 2:1 უნგრეთი  
 იტალია 1:0 არგენტინა  
 არგენტინა 2:1 საფრანგეთი

**II ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 2:0 პოლონეთი  
 არგენტინა 0:0 ბრაზილია  
 არგენტინა 6:0 პერუ

#### ფინალი

არგენტინა 3:1 ჰოლანდია

#### 1982 ესპანეთი

**I ჯგუფური ეტაპი**  
 ბელგია 1:0 არგენტინა  
 არგენტინა 4:1 უნგრეთი  
 არგენტინა 2:0 სალვადორი

**II ჯგუფური ეტაპი**  
 იტალია 2:1 არგენტინა  
 ბრაზილია 3:1 არგენტინა

#### 1986 მექსიკა

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 3:1 ს. კორეა  
 არგენტინა 2:0 ბულგარეთი  
 იტალია 1:1 არგენტინა

**მერვედფინალი**  
 არგენტინა 1:0 ურუგვაი



1986 წელი. არგენტინა - გფრ 3:2.

**მეოთხედფინალი**  
 არგენტინა 2:1 ინგლისი

**ნახევარფინალი**  
 არგენტინა 2:0 ბელგია

#### ფინალი

არგენტინა 3:2 გფრ

#### 1990 იტალია

**ჯგუფური ეტაპი**  
 კამერუნი 1:0 არგენტინა  
 არგენტინა 1:1 რუმინეთი  
 არგენტინა 2:0 სსრკ

#### მერვედფინალი

არგენტინა 1:0 ბრაზილია

#### მეოთხედფინალი

არგენტინა 0:0(პენ.3:2) იუგოსლავია

#### ნახევარფინალი

არგენტინა 1:1(პენ.4:3) იტალია

#### ფინალი

გფრ 1:0 არგენტინა

#### 1994 აშშ

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 4:0 საბერძნეთი  
 არგენტინა 2:1 ნიგერია  
 არგენტინა 0:2 ბულგარეთი

#### მერვედფინალი

რუმინეთი 3:2 არგენტინა

#### 1998 საფრანგეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 1:0 იაპონია  
 არგენტინა 5:0 იამაიკა  
 არგენტინა 1:0 ხორვატია

#### მერვედფინალი

არგენტინა 2:2(პენ.4:3) ინგლისი

#### მეოთხედფინალი

ჰოლანდია 2:1 არგენტინა

#### 2002 ს. კორეა-იაპონია

**ჯგუფური ეტაპი**  
 არგენტინა 1:0 ნიგერია  
 არგენტინა 0:1 ინგლისი  
 შვედეთი 1:1 არგენტინა

### კოტ დივუარი

დევიუტანტი

### სერბეთი (იუგოსლავია)

#### 1930 ურუგვაი

**ჯგუფური ეტაპი**  
 ბრაზილია 1:2 იუგოსლავია  
 იუგოსლავია 4:0 ბოლივია

**ნახევარფინალი**  
 ურუგვაი 6:1 იუგოსლავია

#### 1950 ბრაზილია

**ჯგუფური ეტაპი**  
 იუგოსლავია 3:0 შვეიცარია  
 იუგოსლავია 4:1 მექსიკა  
 ბრაზილია 2:0 იუგოსლავია

#### 1954 შვეიცარია

**ჯგუფური ეტაპი**  
 იუგოსლავია 1:0 საფრანგეთი  
 ბრაზილია 1:1 იუგოსლავია

**მეოთხედფინალი**  
 გფრ 2:0 იუგოსლავია

#### 1958 შვედეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 იუგოსლავია 1:1 შოტლანდია  
 იუგოსლავია 3:2 საფრანგეთი  
 იუგოსლავია 3:3 პარაგვაი

**მეოთხედფინალი**  
 გფრ 1:0 იუგოსლავია

#### 1962 ჩილე

**ჯგუფური ეტაპი**  
 სსრკ 2:0 იუგოსლავია  
 იუგოსლავია 2:1 ურუგვაი  
 იუგოსლავია 5:0 კოლუმბია

#### მეოთხედფინალი

იუგოსლავია 4:0 გფრ

#### ნახევარფინალი

ჩეხოსლოვაკია 3:1 იუგოსლავია

#### 1974 გფრ

**I ჯგუფური ეტაპი**  
 ბრაზილია 0:0 იუგოსლავია  
 იუგოსლავია 9:0 ზაირი  
 შოტლანდია 1:1 იუგოსლავია

#### II ჯგუფური ეტაპი

გფრ 2:0 იუგოსლავია  
 შვედეთი 2:1 იუგოსლავია  
 აოლონეთი 2:1 იუგოსლავია

#### 1982 ესპანეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 ჩრ. ირლანდია 0:0 იუგოსლავია  
 იუგოსლავია 1:0 ჰონდურასი  
 ესპანეთი 2:1 იუგოსლავია

#### 1990 იტალია

**ჯგუფური ეტაპი**  
 გფრ 4:1 იუგოსლავია  
 იუგოსლავია 1:0 კოლუმბია  
 იუგოსლავია 4:1 საამერიკეები

#### მერვედფინალი

იუგოსლავია 2:1 ესპანეთი

#### მეოთხედფინალი

არგენტინა 0:0(პენ.3:2) იუგოსლავია

#### 1998 საფრანგეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 იუგოსლავია 1:0 ირანი  
 გერმანია 2:2 იუგოსლავია  
 აშშ 0:1 იუგოსლავია

**მერვედფინალი**  
 ჰოლანდია 2:1 იუგოსლავია

### ჰოლანდია

#### 1934 იტალია

**მერვედფინალი**  
 შვეიცარია 3:2 ჰოლანდია

#### 1938 საფრანგეთი

**მერვედფინალი**  
 ჩეხოსლოვაკია 3:0 ჰოლანდია

#### 1974 გფრ

**I ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 2:0 ურუგვაი  
 ჰოლანდია 4:1 ბულგარეთი  
 ჰოლანდია 0:0 შვედეთი

**II ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 4:0 არგენტინა  
 ჰოლანდია 2:0 ბრაზილია  
 ჰოლანდია 2:0 გფრ

#### ფინალი

გფრ 2:1 ჰოლანდია

#### 1978 არგენტინა

**I ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 0:0 პერუ  
 ჰოლანდია 3:0 ირანი  
 შოტლანდია 3:2 ჰოლანდია

**II ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 5:1 ავსტრია  
 ჰოლანდია 2:1 იტალია  
 ჰოლანდია 2:2 გფრ

#### ფინალი

არგენტინა 3:1 ჰოლანდია

#### 1990 იტალია

**ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 1:1 ეგვიპტე  
 ინგლისი 0:0 ჰოლანდია  
 ჰოლანდია 1:1 ირლანდია

#### მერვედფინალი

გფრ 2:1 ჰოლანდია

#### 1994 აშშ

**ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 2:1 საუდეთი  
 მაროკო 1:2 ჰოლანდია  
 ბელგია 1:0 ჰოლანდია

#### მერვედფინალი

ჰოლანდია 2:0 ირლანდია

#### მეოთხედფინალი

ჰოლანდია 2:3 ბრაზილია

#### 1998 საფრანგეთი

**ჯგუფური ეტაპი**  
 ჰოლანდია 5:0 ს. კორეა  
 ჰოლანდია 0:0 ბელგია  
 ჰოლანდია 2:2 მექსიკა

#### მერვედფინალი

ჰოლანდია 2:1 იუგოსლავია

#### მეოთხედფინალი

ჰოლანდია 2:1 არგენტინა

#### ნახევარფინალი

ბრაზილია 1:1(პენ.4:2) ჰოლანდია













დავიწყეთ იმით, რომ 1936 წელს დაარსებული ეს კლუბი, პრაქტიკულად, პირველი იყო მთელს საბჭოთა კავშირში. მართალია, ფორმალურად მას დაარსება რამდენიმე თვით ყაზახეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ალპიურმა კლუბებმა დაასწრეს, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები პირველად სწორედ ქართულმა კლუბმა გადადგა.

თუ რამ განაპირობა მისი დაარსება, ამის გასარკვევად უმჯობესია გავიხსენოთ ბარე 30 წლის წინანდელი ჩანაწერები, რომელიც იმ დროს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ცხონებული ვეტერანი მთამსვლელის, სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის კაკო მარის მონათხრობის მიხედვით გაკეთდა.

„როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ისტორია 1923 წელს დაიწყო მყინვარწვერზე გიორგი ნიკოლაძის 18-კაციანი ჯგუფის ასვლით. საქართველოში მთამსვლელობის განვითარებისთვის საჭირო იყო რაიმე ორგანიზაციული ფორმის გამოჩენა. 1924 წელს აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის თაოსნობით შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. ახალი საზოგადოების პირველივე საორგანიზაციო სხდომაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ერთადერთი ეგრეთ წოდებული მთამსვლა-მგზავრობის გუნდი, რომლის თავმჯდომარეც გიორგი ნიკოლაძე გახლდათ. გიორგი ამავე დროს გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდიანიც იყო. 1931 წლიდან საქართველოში მთამსვლელობის განვითარებას ხელი მოჰკიდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიანთა საზოგადოების მთამსვლელებმა სექციამ, რომელსაც შოთა მიქელაძე ჩაუდგა სათავეში. შემდეგში ეს საზოგადოება გაუქმდა.

და აი, ალიომა ჯავახიშვილს დაებადა აზრი, რომ შექმნილიყო საქართველოს ალპიური კლუბი. მისივე წინადადებით ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდით მე, იოსებ ასლანიშვილი, დავით ფურცელაძე, ალექსანდრე გვალია და თვითონ ალიომა ჯავახიშვილი. ჩვენს შორის იურისტი დავით ფურცელაძე გახლდათ. ამიტომ მას მივანდით წესდების პროექტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მიმართვის შედგენა. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დარბაზში გამართულ საერთო კრებას 286 მთამსვლელი და მოთხილამურე ესწრებოდა. მიმართვაში კარგად იყო დასაბუთებული მთამსვლელთა კლუბის დაარსების აუცილებლობა. მიზანს მივაღწიეთ. 1936 წლის ნოემბერში კლუბი გაიხსნა. პრეზიდენტის თამბჯდომარედ ალიომა ჯავახიშვილი ავირჩიეთ.

სხვათა შორის, თვითონ ალიომა ამ დროს პამირში იყო რუსეთის ექსპედიციისთან ერთად. კლუბს კიდევ ერთი საშტატო ერთეული გამოუყვეს — პრეზიდენტის პასუხისმგებელი მდიანისა. ეს საქმე საინტერესო გვალისა დაეკავა.

რადგან საქართველოში სათხილამურო სპორტის პიონერები მთამსვლელები იყვნენ, კლუბს სათხი-



# შვირის ბაღიდან საპალეო გზები

## საქართველოს ალპიური კლუბი 70 წლისაა

ერთ დროს უძლიერეს ქართველ მთამსვლელებს წელს თავიანთ დიდ წარმატებათა არაერთი მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი აქვთ: სწორედ წელს სრულდება ნახევარსაუკუნოვანი იუბილე საქართველოს ალპიური კლუბის მთამსვლელთა მიერ პამირში მოსკოვის პიკზე პირველად აღმართვის, რამაც ჩვენს ალპინისტებს სსრ კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოუტანა. 50 წელიწადი სრულდება იმავე პამირში სსრ კავშირის უმაღლეს მწვერვალზე — სტალინის პიკზე ქართველ მთამსვლელთა მიერ ახალი გზის გაკვალვისა, რამაც მთამსვლელთა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამასთან, 50 წლის წინათ ჩვენი მთამსვლელები პამირში კიდევ შვიდ მწვერვალზე პირველად მსვლელად მოგვევლინნენ.

30 წლის საიუბილეო თარიღი ადგათ ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფის წევრებს,

რომლებმაც ჩვენი ალპინიზმის ისტორიაში ერთდროულად პირველად მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები. ერთმა ჯგუფმა ჩემპიონობა პამირში, ტრავერსების კლასში მოიპოვა, ხოლო მეორემ — ტიან-შანის ჯგუფმა, — ტექნიკური ასვლების კლასში.

ამ და სხვა წარმატებებს ხელს უწყობდა საქართველოს ალიომა ჯავახიშვილის სახელობის ალპიური კლუბიც, რომელიც ყველაზე დიდი იუბილარია — წელს მისი დაარსებიდან 70 წელიწადი სრულდება. ჩვენი მთამსვლელების იმ შთამბეჭდავ წარმატებებზე საუბარი, რომლებსაც თარიღები დამრგვალებით, მერე იყოს, ახლა კი ალპიური კლუბის ისტორია გავიხსენოთ, მით უმეტეს, რომ მისი მდიდრული წარსული მეტად შთამბეჭდავი, იგი ბევრს ეყოფოდა საამაყოდ და იქნებ ერთ სქელტანიან ნიგნსაც ვერ დაეცია

ლამურო სპორტის ხელმძღვანელობაც დაეკავა. ერთი წლის მერე კიროვის სახელობის პარკში (ახლანდელ ვერის ბაღში. ა.გ.) შენობაც მოგვეცეს, 1973 წელს კი იქვე ჩვენ და მოჭადრაკეებმა დიდებულ სასახლე მივიღეთ“.

ძალზე საინტერესოა, რომ საქართველოს ალპიური კლუბი მთლად ცარიელ ნიადაგზე არ დაარსებულა და მას წინამორბედიც ჰყავდა. ეს იყო კავკასიის საბუნებისმეტყველო საზოგადოებასთან რუსეთის მიერ დაარსებული პირველი ალპინისტური კლუბი, რომელსაც ბინა სწორედ თბილისში ედო. კლუბის დებულება მისმა დამფუძნებლებმა ჯერ კიდევ 1872 წელს შეიმუშავეს, ხოლო 1877 წელს იგი დაამტკიცეს.

როგორც რუსული წყაროებიდან ირკვევა, ამ კლუბმა ენერგიულად დაიწყო მუშაობა. კითხულობდნენ ლექციებს, ისმენდნენ რეფერატებს, აწყობდნენ ლაშქრობებს. თავისი არსებობის პირველი ორი წლის განმავლობაში კლუბმა „შორების“ ორი ტომიც გამოისცა, მაგრამ 1879 წელს მან არსებობა შეწყვიტა, მიზეზი კი ის იყო, რომ იგი „მოწყვეტილი იყო ქვეყნის ძირითად კულტურულ ცენტრებს და ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობას მოიცავდა. ტიფლისში პრაქტიკულად არ იყო კლუბის ახალი წევრების მიღების შესაძლებლობა. კლუბი დოტაციას არ ღე-

ბულობდა და მისი ყველაზე დიდი პრობლემა დაფინანსება გახდა“.

ყოველივე ამის მერე კლუბი გაუქმდა, არადა, იგი მსოფლიოს ალპინიზმის ფუნის ხმას მიჰყვებოდა. იმ დროისთვის ალპინისტური კლუბები არსებობდა მხოლოდ ინგლისში (1875 წ.), ავსტრიაში, იტალიაში, შვეიცარიაში (1863), საფრანგეთში (1874).

ასე იყო თუ ისე, დაეუბრუნდეთ საქართველოს ალპიური კლუბს, რომელმაც პირველი დიდი წარმატება 1937 წელს იხიმა, როცა მისი ორგანიზებით თეთნულდზე გრანდიოზული ალპინადა მოეწყო. მწვერვალს 182 კაცმა მიაღწია. არადა, იმ დროს თეთნულდს ჯერ კიდევ რთული და უკარება მწვერვალის რეპუტაცია ჰქონდა.

საქართველოს ალპიური კლუბის გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში პირველივე ოქროს მედლები 1950 წელს მოიპოვა, როცა მისმა ნაკრებმა მეტად რთული, იმ დროს წარმოუდგენელი უშბა-შხელდის ტრავერსი განახორციელა, რაც დღესაც კი მეტად საძნელო საქმეა.

მას მერე საქართველოს ალპიური კლუბის მთამსვლელებმა თუ სხვა სპორტსაზოგადოებათა ალპინისტებმა ამავე კლუბის ხელშეწყობით საკავშირო ჩემპიონატების 11 ოქროს, 12 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედლების კომპლექტი მოიპოვეს.

საკავშირო ჩემპიონატებში ამავე

რებას ემსახურებოდა, სხვა მხრივაც ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

მაგალითად, ამ კლუბმა მეორე მსოფლიო ომის დროს თავისებური სამხედრო ორგანიზაციის ფუნქციაც იკისრა. კლუბი სახელდებულად ამზადებდა მთამსვლელ მეომრებს, რომლებიც კავკასიონზე იბრძოდნენ. ამას გარდა, მეომრები ამ კლუბის რეკომენდაციით სამხედრო წოდებებსაც ლებულობდნენ. კლუბის ასეთ მუშაობას განსაკუთრებით დიდი შეფასება მისცა თავის მემუარებში მარშალმა გრეჩკომ.


მსოფლიო ომის მერე კლუბმა უფრო აქტიური მუშაობა დაიწყო სპორტული ალპინიზმის განვითარებისთვის და არა მხოლოდ ამისთვის. მაგალითად, სპელეოლოგთა სექცია პირველად სწორედ ამ კლუბში ჩამოყალიბდა. აქვე შეიქმნა მხარეთმცოდნეობისა და სხვა სექციებიც.

საქართველოს ალპიური კლუბი ძალზე აქტიურად მუშაობდა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვისაც. მაგალითად, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში ძალზე პოპულარული იყო საერთაშორისო ფოტო-კინო-კურსი დევიზით „მთები და ადამიანები“, რომელშიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა გარდა მონაწილეობდნენ ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიისა და სხვათა მთამსვლელები თუ ხელოვანი. ძალზე პოპულარული იყო აგრეთვე ბავშვთა ნახატების გამოფენა „ჩემი მთები“.

სამწუხაროდ, თბილისის ომის მერე საქართველოს ალპიური კლუბი მხედრიონი დაბანაკდა, რამაც იქაურთა მთლად გააუკრანა. დაიკარგა უამრავი საბუთი, ფოტო-კინომასალა, სხვა არქივი თუ იქაური მუზეუმის ექსპონატები. იქვე შესახლდა სხვადასხვა ორგანიზაცია.

საბედნიეროდ, ავტო უკვე რამდენიმე თვეა, რაც კლუბში ვითარება სწორდება და იმეღია, იგი ძველ დიდებას დაიბრუნებს.

**აშთანდომილ გურასაშვილი**  
*ავტორის ფოტოები*








ჯირო დიჯალია 2006. 6-28 მაისი

# სად გაქრა, სიმონ, ეს კასი?

## ბასო მიდის, ქარავანი ყაფს



ჯილბერტო სიმონი (მარჯვნივ) ივან ბასოს ტემპს ვერ აჟვია

როგორც მოსალოდნელი იყო, ბასოს გუნდის, CSC-ის წევრები აღმოჩნდნენ დანიური გუნდი, რომლის შეფიც „ტურ დე ფრანსის“ 1996 წლის ტრიუმფატორი ბიარნე რიოსი გახლავთ, უაღრესად სინქრონულად მოქმედებდა და ამ აწყობილ მექანიზმში ხინჯის პოვნა ურთულესი საქმე იყო. ერთადერთი, ისევე ძველმა სამთო მგელმა, „ჯიროს“ ორგზის მომგებმა ჯილბერტო სიმონიმ სცადა, ბასოს გუნდის ტემპს აჰყოლოდა. სიმონიმ თანაგუნდელი პიპოლის დახმარებით რამდენჯერმე იერიშიც კი წამოიწყო, მაგრამ ბასოს ვერაფერი მოუხერხა და უკვე მაშინ, ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრი რომ რჩებოდა, თავად ბასომ შეუტია და სიმონი და პიპოლი ამ შეტევას ვეღარ აჰყვნენ. ბასო ეუღლად გაიჭრა წინ და სიმონი მას თითქმის წუთნახევრით ჩამორჩა. უფრო მეტი წაავო საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფმა ესპანელმა ხოსე გუტიერესმა და შედეგად, სხვაობა ბასოსა და გუტიერესს შორის, თითქმის ხუთწუთნახევრამდე გაიზარდა. აი, მესამე ადგილზე მყოფი შარშანდელი ტრიუმფატორი პაოლო სავოლდელი კი ლიდერთან, უკვე 9 წუთზე მეტს აგებს და კიდევ უფრო შორს არიან დამიანო კუნეგო და დანილო დი ლუკა.

ნარბოლევს ბასო დიდებულ ხასიათზე გახლდათ, თუმცა იგი მაინც უარს ამბობდა წინასწარი მილოცვების მიღებისგან — ის, რაც მოხდა, მშვენიერი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ დღევანდელი რბოლა იყო. ზვალ ახალი ეტაპია, ახალი მთები და ყურადღების მოდუნება არ შეიძლება.

89-ე „ჯირო დიჯალიას“ დასრულებამდე კიდევ რამდენიმე, მათ შორის ურთულესი სამთო ეტაპია დარჩენილი, მაგრამ წყალი აღარ გაუვა — კვირას მილანში გამარჯვებულის სარგო ვარდისფერი მაისურით CSC-ის იტალიელი ლიდერი ივან ბასო შევა.

მორიგი და ალბათ გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეებს ბასომ მე-16 ეტაპის ბოლო კილომეტრებზე, ბანდონეს მთის ციცაბო აღმართებში მიაყენა.

როვატოდან ბანდონეს მთის მწვერვალამდე პელეტონს 173 კილომეტრი ჰქონდა გასავლელი და ამ 173 კილომეტრიდან მთავარი ბოლო 17 იყო, როდესაც ველოსიპე-

დისტები სიმაღლეში 1370 მეტრით მალლა უნდა ასულიყვნენ.

ამ ურთულესი სერპანტინის დასაწყისს პელეტონმა ჯგროდ კი უწია, მაგრამ აღმართებმა მალევე დაშალა ველოქარავანი და თავში,

### მე-16 ეტაპი. 23 მაისი. რომატი-ბანდონე. 173 კმ

- |                                      |                     |
|--------------------------------------|---------------------|
| 1. ივან ბასო (იტალია, CSC)           | 4 სთ. 51 წთ. 30 წმ. |
| 2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, SDV)     | +1 წთ. 26 წმ.       |
| 3. ლეონელ ბიემოლი (იტალია, SDV)      | +1 წთ. 37 წმ.       |
| 4. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი) | +1 წთ. 37 წმ.       |
| 5. ჯონ გადტრეტი (საფრანგეთი, A2-R)   | +2 წთ. 40 წმ.       |

### საბრტო ჩათვლა

- |  |                      |
|--|----------------------|
| 1. ივან ბასო (იტალია, CSC)             | 64 სთ. 35 წთ. 17 წმ. |
| 2. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)   | +5 წთ. 24 წმ.        |
| 3. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკავერი) | +9 წთ. 17 წმ.        |
| 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, SDV)       | +9 წთ. 34 წმ.        |
| 5. ვლადიმირ ბელი (იტალია, სელე იტალია) | +11 წთ. 07 წმ.       |

## საჭაღრაპო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტური. იტალია

III ტური

კაცები

საქართველო 2,5:1,5 კოლუმბია  
 ბაადურ ჯობაჯა 0,5:0,5 ალექსანდერ ხაიმე კუარტასი  
 ლევან ფანცულაია 0,5:0,5 ალდერ ფორერო ესკობარი  
 გიორგი ყაჭეიშვილი 1:0 სერხიო ბარინტოსი  
 დავით არუთინიანი 0,5:0,5 რაფაელ მენდოზა

ქალები

საქართველო 1,5:1,5 სლოვაკია  
 ნინო ხურციძე 0,5:0,5 ანა მუჟიჩუკი  
 ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5 ანა სრებრნიჩი  
 მიაა ლომინეიშვილი 0,5:0,5 იანა კრივეჩი

## ოლიმპიადაზე მსოფლიოს ჩემპიონი გამოჩნდა



გიორგი ყაჭეიშვილი

მესამე ტურიდან ოლიმპიადას კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი შეუერთდა და თანამემამულეებს გერმანელების დამარცხებაში დაეხმარა. მსოფლიოს ჩემპიონი პირველ დაფაზე გამოვიდა, ალმანთა ლიდერ აკრადი ნაიდინს თეთრი ფიგურებით მოუგო და გუნდი პირველ ადგილზე დატოვა.

საქართველოს ნაკრები მეთხუთმეტე ადგილზე აღზევდა. ჩვენმა ვაჟებმა კოლუმბიის გუნდი დაამარცხეს 2,5:1,5 და მარაგი 6,5 ქულამდე აიყვანეს. გამარჯვების ქულა გუნდს მესამე დაფაზე მოთამაშე გიორგი ყაჭეიშვილმა მოუტანა. მან სერხიო ბარინტოსი დაჯაბნა.

დასანანი ქულები დაკარგეს ქართველმა მანდილოსნებმა, სლოვენელებთან ყაიმი ითამაშეს და ნადავლს მხოლოდ 1,5 ქულა შესძინეს. ყველასათვის მოულოდნელად, გათამაშებას 9 ქულით ლიტვა ლიდერობს. ბალტიისპირელებმა მეზობელი ლატვიელები გაანადგურეს 3:0 და მთავარ კონკურენტებს ნახევარი ქულით გაუსწრეს.

### ლუზა გავიხარო

საბურთალოს მდგომარეობა სამი ტურის შემდეგ

კაცები

- |                |           |
|----------------|-----------|
| 1. რუსეთი      | 10,5 ქულა |
| 2. ჩინეთი      | 10,5      |
| 3. უზბეკეთი    | 10,5      |
| 4. საბერძნეთი  | 10        |
| 5. უკრაინა     | 10        |
| 15. საქართველო | 9         |

ქალები

- |                |        |
|----------------|--------|
| 1. ლიტვა       | 9 ქულა |
| 2. რუსეთი      | 8,5    |
| 3. ჩინეთი      | 8,5    |
| 4. რუმინეთი    | 8      |
| 5. უკრაინა     | 8      |
| 10. საქართველო | 6,5    |

IV ტური

კაცები

გერმანია 1,5:2,5 საქართველო  
 არტურ იუსუპოვი 0:1 ბაადურ ჯობაჯა  
 იან გუსტაფსონი 0,5:0,5 ლევან ფანცულაია  
 თომას ლუცერი 0,5:0,5 გიორგი ყაჭეიშვილი  
 კრისტოფერ ლუტი 0,5:0,5 მერაბ გაგუნაშვილი

ქალები

საქართველო 1,5:1,5 იტალია  
 ნინო ხურციძე 0,5:0,5 ზუმბუ კონერუ  
 ნანა ძაგნიძე 0:1 გვიტი სვაზი  
 ლელა ჯავახიშვილი 1:0 მარი ან გომესი

## პლეი ოფი 2006

# შეტევა, შეტევა, შეტევა...


23 მაისი  
 ნახევარფინალი  
 დასავლეთი  
 ანაჰიმი 0:3 ადომობონი  
 აღმოსავლეთი 5:4 ანაჰიმი  
 1:0 0:0 4:4  
 10 პეტერსონი (14), 20 პევა (43), 30 სტილი (44), 40 პრინგერი (45), 41 ოდონელი (48), 42 სელიანე (50), 43 კუნცი (52), 53 პიზანი (55), 54 სელიანე (59)

წლეულს „ედმონტონმა“ სტილის თასი რომც ვერ მოიგოს, მაინც დიდ პატივისცემას იმსახურებს თავისი თამაშის გამო. სწორედ „მუნაოტობებმა“ შეგვაცხენეს 90-იანი წლების დასაწყისის „ველური“ და

აზარტული თამაში, სადაც მთავარი ბრძოლა და შეტევა იყო და არა ტაქტიკური ხრიკები ან შედეგი, საინტერესოა, რომ მიუხედავად ხანგრძლივი უხეირობისა, „ედმონტონი“ მაინც ასეთ სტილს მიჰყვებოდა, რასაც ანაჰიმიდან სერიის მესამე თამაშში კინაღამ ემსხვერპლა კიდევ. ლიგის ნებისმიერი გუნდი ალბათ 4:0 დაწინაურების შემდეგ უკან დაიხევდა და მშვიდად შეინარჩუნებდა იმ უპირატესობას, მაგრამ მასპინძლებმა სხვა გზა აირჩიეს და... სულ რაღაც 6-7 წუთში ერთი შაბის სხვაობითა იგებდნენ. მართალია, ცოტა ხანში „ედმონ-


ტონის“ რიგებში ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე ფერნანდო პიზანამ მეხუთე შაბი შეავლო მეტოქის კარში, მაგრამ მისი გუნდი ბოლო წუთებზე ნერვიულობას მაინც ვერ ასცდა. ამ თამაშში ტემპი სელიანეს მეორე გოლმა ისევ დაბაბა სიტუაცია, თუმცა მეტისთვის სტუმრებს დრო აღარ ეყოთ. თანაც კვლავ გაიბრწყინა „ედმონტონის“ მეკარე დუენ როულსონმა. მთავარი კი ის არის, რომ „ედმონტონს“ ერთი ნაბიჯი დადარჩა, 1990 წლის შემდეგ პირველად რომ გავიდეს თასის ფინალში.

სამგულ ღარიბიანი



იქ, სადაც მუშურად ჩაცმული ერიკსონი, ბექემი და ლამპარდი დგანან, კიდევ გაგორდება ბურთი — ეს მშენებარე „უემბლია“. იქამდე კი სხვა დიდი ბურთაობის მოლოდინში ვართ. აგერ, ალიკაპიანი რობინიო და მიჯაჭვული რობერტო კარლოსი სამედიცინო შემონმებას გადიან. იქით ერნან კრესპოს მიკროფონები არ აკმარეს და მობილურზეც არ ასვენებენ.

ამ სამუნდიალო ორომტრიალში კი შესაშურად მშვიდადაა ჰენრიკ ლარსონი — მსოფლიოს ჩემპიონი ეგ, ალბათ, ვერასდროს გახდება, უმთავრესი საკლუბო ჯილდო კი ორი კვირის წინ მოიგო. ჰოდა, იქნევს ახლა ყვანჯს.



**სარბიელი**  
საორტული გაზეთი

გამოიცვება 1990 წლის  
28 დეკემბერიდან

გამოდის ორგაბათს,  
საგაბათს, ოთხგაბათს,  
ხუთგაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი შურაბა შოხსვერია  
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი  
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
პასუხისმგებელი რედაქტორი პასა შალვაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,  
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პასა ხუციშვილი  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი,  
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე

გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პურტაია, ბაჩო სვანიძე  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნვაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია,  
ხათუნა ბუნუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალისხელი,  
მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი,  
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieli.com.ge>

სარედაქციო სასახური: 38-11-14, 877 54 55 00